თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 2018 წლის 21 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი ლელა მენთეშაშვილი, გურამი წულუკიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს დეპუტატები - დავით ღაღანიძე, ტიტე დარეჯანიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათელა ვაყელიშვილი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ნუგზარი ბაჩიაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გიგა ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საკმარისად არ არის ჩაშლილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რის გამოც ბევრი კითხვა ჩნდება და ეს უნდა გამოსწორდეს საჯარო განხილვამდე, ინფრასტრუქტურის ნაწილი მოითხოვს დაზუსტებას.

უჩა ჭოტიაშვილმა აღნიშნა, რომ თაყაიშვილის N3 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია მრავალი წლის მანძილზე წვიმის დროს იტბორება, ამის მოსაწესრიგებლად ღონისძიებები საჭიროა გათვალისწინებული იქნას ბიუჯეტში.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წელს არ მომხდარა საპრივატიზებო ნუსხაში არსებული ობიექტების პრივატიზება, აქედან გამომდინარე 2019 წლის ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში შესაძლებელია, რომ დამატებით გათვალისწინებული იქნას 200 000 ლარი ფინანსური აქტივების კლება, ხოლო ხარჯვით ნაწილში, აღნიშნული წყარო შეიძლება მიმართული იქნას სოფლად ადმინისტრაციული შენობების რემონტის ხარჯის დასაფინანსებლად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის ბიუჯეტის საჯარო გახილვამდე გაითვალისწინოს წინადადებები და მოახდინოს ცვლილებები.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი